თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია

კონკურსის მეშვეობით გენერალ გ. მაზნიაშვილისა და გ. ლორთქიფანიძის მემორიალის ესკიზის დამზადების შესყიდვის საკონკურსო პირობები

ქ. ბათუმი

2011

სარჩევი

1. საკონკურსო განცხადება 3

2. ტექნიკური დავალება 6

3. დანართი №1, განთავსების ადგილის ფოტო 7

წინამდებარე საკონკურსო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 აპრილის N3 ბრძანების საფუძველზე.

1. საკონკურსო განცხადება

1.1. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია აცხადებს კონკურსს გენერალ გ. მაზნიაშვილისა და გ. ლორთქიფანიძის მემორიალის ესკიზის დამზადების სახელმწიფო შესყიდვაზე და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს;

1.2. კონკურსის მიზანია ქ. ბათუმში, თავისუფლების მოედანზე, სადაც აღმოჩენილია გარდაცვლილი იუნკერების საფლავები (დანართი №1), განსათავსებელი გენერალ გ. მაზნიაშვილისა და გ. ლორთქიფანიძის მემორიალის საუკეთესო ესკიზისა და არქიტექტურული კონცეფციის გამოვლენა;

1.3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 7 000 (შვიდი ათასი) ლარს;

1.4. საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (http://procurement.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=39);

1.5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყ-ნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი;

1.6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, 1.4 და 1.5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას;

1.7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე;

1.8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი და

ბეჭედდასმული უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ. უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს;

1.9. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2011 წლის 10 ივლისს 18:00 საათზე;

1.10. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2011 წლის 10 ივლისის 18:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის №25, 1-ლი სართული, ოთახი №7;

1.11. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს;

1.12. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში;

1.13. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს:

- საკონკურსო წინადადების ფასი დღგ-ს ჩათვლით, ვალუტა - ლარი; იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტი არ არის დღგ-ს გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-ს გარეშე;
- გასაწევი მომსახურების აღწერა, ესკიზი, არქიტექტურული კონცეფცია, განმარტებითი ბარათი;
- ინფორმაცია კონკურსანტის მიერ განხორციელებული ანალოგიური საქმიანობის შესახებ (შესაბამის ესკიზებთან და ფოტომასალასთან ერთად);
- ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ;
- რეკვიზიტები.

1.14. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება;

1.15. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას (7 000 ლარი), არ განიხილება;

1.16. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:

- ვიზუალი და არქიტექტურული კონცეფცია: კოეფიციენტი – 0.7;
- საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0.3;
- შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით;
- კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა; ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტს წარმოადგენს კომისიის თავმჯდომარის პოზიცია.

1.17. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას, შეიტანოს ცვლილებები ესკიზში;

1.18. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს, ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, ასევე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები;

1.19. ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში;

1.20. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება შესაძლებელია შემდეგი საკონტაქტო პირისაგან: ნათია სურგულაძე, ტელ: (8422) 24 63 09, 877 27 26 27.

2. ტექნიკური დავალება:

2.1. ესკიზი უნდა წარმოადგენდეს სივრცით კომპოზიციას, მასშტაბის თვალსაზ-რისით არ უნდა იყოს კამერული ხასიათის, აღქმის წერტილები უნდა შეირჩეს განთავსების ადგილის გეგმარებითი მდგომარეობის გათვალისწინებით, კომპოზიციის შერჩევისას ანგარიში უნდა გაეწიოს მიმდებარედ არსებულ შენობა-ნაგებობებს:

2.2. ესკიზი გადაწყვეტილი უნდა იყოს თავისუფალი დიზაინის, სკულპტურულ-არქიტექტურული სინთეზის საშუალებით; გრაფიკული მასალების შესრულების მანერა - თავისუფალი;

2.3. ესკიზი შესაძლებელია შესრულდეს ნებისმიერი სახვითი საშუალებით (ფანქარი, გუაში, ტუში, აკვარელი, ტემპერა, შერეული ტექნიკა და სხვა);

2.4. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება უნდა შეიცავდეს:

- მემორიალის ესკიზის პროექტს A4 ზომის ფორმატზე (ფერადი და შავ-თეთრი);
- ტერიტორიის სიტუაციური გეგმას, მასშტაბი - 1:500;
- მემორიალის გეგმას, მასშტაბი - 1:100 ან 1:200;
- მემორიალის მოდელს, მასშტაბი 1:20;
- განშლებს, ფოტომონტაჟს ან ჩანახატს;
- მემორიალის მაკეტს (სასურველია);
- გამწვანების კონცეფციას (სასურველია).

3. დანართი №1

მემორიალის განთავსების ადგილის ფოტო